

1914



№ 18

4 მაისი 1914 წ.

მიიღება სელის მოწერა

წლიური ფასი

== 3 მან. ==

უძველესი კვირეული საზოგადო-ეკონომიური და სალიბერატურო შურონალი  
წელიწადი მისამე

ცალკე ნომერი 5 კაპ.

რედაქცია ღიბა 9-3 საათ.

მისამართი: თბილისი, გაბაევსკიი პერ. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპოტისა: თბილისი კლდე.

ს ა რ ჩ ე ვ ი:

1. შუთაური.
2. გელეიშვილის ლექციაზე. — \* \* — სა.
3. ავტოკრედიტის და სრულიად რუსეთის საეკონომიკო კრება. — X — სა.
4. სახელმწიფო სსათბ. კომუდა. — ნაცარასი.
5. ძის ფრანგი. — (მოთხრობა) თარგმ. ირ. სონლულაშვილისა.
6. თამარის დღე. — უცნობისა.
7. აშურბანის გარშემო. — თ. ახირებულისა.
8. მცირე შენიშვნა. — რ. გ-ე'ი.
9. უკანასკნელი ამბები.
10. პრესა.
11. ხარკი.
12. ქვა და კანდახი. — ეკალისა.
13. ხვენი ფოსტა.

მიიღება სელის მოწერა 1914 წ.

უძველესი კვირეული საზოგადო-ეკონომიური

და სალიბერატურო შურონალი

„კლდე“-ზედ.

ფ ა ს ი:	1 წლით . . . . .	3 მან.
	6 თვით . . . . .	2 მან.
	3 თვით . . . . .	1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.



თბილისი. 4 მაისი

რა ხდება ამ ეამად სიღნაღში -- ძნელი გამო-სარკვევია დაწვრილებით; ერთი კი ცხადია, რომ სომხების შოვინისტურმა მისწრაფებამ, რომელმაც უკანასკნელ დროს უტიფრად წამოაყვო თავი ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხეში სიღნაღში თავის აპოგეის მიაღწია. ბრძოლა თვითმართველობის დასაპყრობად გორში, თელავში, ის უხეში მეთოდები გზის გაკაფვისა ძალისა და გავლენისაკენ საქალაქო საქმეებში, პოლიტეხნიკუმის გარშემო ატეხილი განგაში, შეზავებული ათასნაირი სიცრუით როგორც, მაგ., ნავთლუღის სიმშვენიერე და „ქანანოვის საბურთალოელი ქათმები“; არჩევნები სახელმწიფო სეთათბიროში, საცა სოლოლაკელთა მსახური ხატი-სოფ-ბაბოვეები სოციალ-დემოკრატის უჭერდნენ მხარ-სა; არჩევნები თვითმართველობაში ჯაბარისა და სხვა და სხვა — ყველა ეს, მხოლოდ ბრძმებსა და სოციალისტებს ეჩვენებათ უმნიშვნელო კინკლაობად ბურჟუაზიისა და თავად-ახნაურობის შუა. ეს პირახდილი ბრძოლაა, რომლის საუკეთესოდ მქერმეტყველურ ილუსტრაციას დღეს სიღნაღი გვიხატავს. ტყუილად ირწმუნებოდნენ კერძოდ და ირწმუნებიან დღეს პრესის საშუალებით სომხის შოვინისტები, რომ ქართველები აზვიადებენ სომხების დარაზმვას, მაშინ როდესაც ის, რაც დღეს ხდება — უსისტემო ზრდაა კაპიტალიზმისაო. როდესაც ზრდა ცხოვრების ყოველ მხარეს ეპოტინება და უსისტემო ყოველთვის იქით-კენ იხრება, რომ ერთი ერის ინტერესები იბლაღება და მეორესი ხეირობს — ეს უკვე გარკვეული პოლიტიკაა, თუნდაც დავიჯეროთ, რომ იმისთანა გულუბრყვილოთ, როგორც არიან მაგ. „ჰორიზონის“ პუბლიცისტები, ეს შეგნებული არა აქვთ.

ცხოვრება რედაქციებში არ იქმნება. და თუ მისი კანონები ვერა ლაგდებიან რედაქტორების თავში, ეს ჯერ იმის მომასწავებელი არ არის, რომ იგი უსისტემოდ და უკანონოდ მოქმედობს. ყველა ერს თავისი საკუთარი კანონები აქვს ზრდისა და იქ, საცა მას ანგარიშს ვერ უწევენ სახელმწიფო დაწესებულებანი (როგორც მაგალითად ქართველებს და სომხებს, რომელთაც იგინი არა აქვთ) იქ პრესა უნდა იყვეს აღლოს ამრთმევი და მიზან-შეწონილობის მქადაგებელი. მაგრამ რას ვხედავთ ჩვენ ამის სამაგიეროდ. სომხური პრესა თავს იკატუნებს, ვითომ ვერ ამჩნევს იმ იერიშებს, რომელიც მოაქვს სომხის კაპიტალს და ერის მოწინავეთ — სა-

ქართველოზედ, ვერ ამჩნევს (?) იშხანიან(კთა იდეოლოგიის ზრდას და გაკვირვებას გამოსტკვამს, რომ ქართველობაც ირაზმება. აქ გასაკვირველი კი არაფერია, სავალალო კი ბევრი სომხებისათვის, რადგან წარმოუდგენელ სიბეცეს იტენს ეს ხალხი, რომელიც საუკუნოებით შეითვისა ქართველმა ერმა, იძმო და დღეს, მესამეთაგან დაყრილ საკენკით წათამამებული — ძირს უთხრის იმ მუხასა, რომლის რკოებით იკვებებოდა. სიბეცე პოლიტიკაში, მისი შეუწონლობა საკუთარ ერის ფსიხოლოგიასთან და მეზობლის ინტერესებსა და ძალასთან შეუფარდებლობა, ვერაფერი სამსახურია გონებიან პატრიოტისა.

მაგრამ ქართველობა მადლობით უნდა იხსენიებდეს ასეთ სითამამეს, რადგან გულახდილ მტერთან ბრძოლა უფრო ადვილია, ვიდრე ჩუმად შემოპარებულთან; როგორც გარეშე მტერთან ბრძოლა, იგი უფრო საპატიოც არის, ვიდრე შინაურთან. საკათხავი მხოლოდ ერთია, რამდენად სისწორით შეიძლება განზომა მოპირდაპირე ძალებისა და ამის მიხედვით, საბრძოლველ იარაღის გამონახვა. ჩვენის აზრით, ის გზა, რომელიც ამოურჩევია მაგ. სიღნაღის სომხობას, იმდენადვე ხელსაყრელია ჩვენთვის, რამდენადაც უხეირო მათთვის. შეუძლებელია, არა ნორმალურმა წესმა დიდხანს იარსებოს და არ გამოიწვიოს ის სტიქიური პროტესტი, რომელიც ისახება ქართველებისაგან გამოცხადებულ ბოიკოტში. ასეთ სტიქიურ მოვლენას, როგორც დაუმორჩილებელს შეგნებისა და საერთო მიზნის წინაშე — ჩვენ ვერ თანაუგრძობთ, მაგრამ ანგარიში ყოველ შემთხვევაში უნდა გაუწიოთ, როგორც ჩვენ, ისე სომხებმაც. ეს საკმაოდ დიდი სიმპტომაია, რომ ეროვნული შეგნება ქართველი ერისა უკვე შესაძლებელია კონკრეტულ, ეკონომიურ ფორმებში ჩამოყალიბდეს, რაც ერთის მხრით დარაზმვას ჩვენს ეკონომიურ ძალებს და მეორე მხრით, — დაქსაქსავს სომხობისას. განა სიღნაღის ამბები ცხად არა ჰყოფენ, რომ სომხურს ვაჭრულს კაპიტალს არ შეუძლიან საკუთარი პოლიტიკის წარმოება სხვისა ზურგზედ; რომ ეს პოლიტიკა მუდამ გარიყული დარჩება როგორც კი კონფლიქტს გააღიზიანებს?

ამ აშკარა მოვლენას, მხოლოდ შოვინისტური თვალის ვერ დაინახავს და თვითონვე ზრდის იმ ძალას, რომელიც ბოლოს მოუღებს: მეტ-ბორცი იქამდისაა მარტო საშიში, ვიდრე ორგანიზმი ძილშია ან ავად არის, თორემ სიცოცხლეს მოწყურებულს ის ზედ ვერ დაადგება და სიმბიოზს ქართველ-სომხებთა ერებისას ბოლო მოედება.

რასაკვირველია, ეს ორივე მხარისათვის სასურველი უნდა იყოს; ვისაც არა სწყურია შუღლი, ან დაუსრულებელი ექსპლუატაცია.

ჩვენ მოუხმობთ ჩვენს თანამომხვევებს და თანამოაზრეებს სიღნაღში — სიფრთხილით ასწონ-დასწონონ ყველა გარემოება და არ აპყვენენ უბრალო გულის თქმას და მომენტიტ გამოწვეულ გრძობებს: ბრძოლის იარაღი ცვალებადია, მაგრამ კეთილ გონიერებას უნდა ემორჩილებოდეს იგი ყოველთვის, თუ არ გვინდა კერძო მოვლენა საბაზად ვაქციოთ საზოგადო უბედურებისა.

## გელეიშვილის ლექციაზედ

როგორც გაზეთებმა მოიტანეს ამბავი, პ. გელეიშვილის ლექციაზედ ქუთაისში, არაჩვეულებრივი ამბავი მოხდა: სტენა, ბოლოკისა და კვერცხის სროლა იქ, საცა „ილია ჭავჭავაძის პოეზიასა და პუბლიცისტობაზედ“ იყო ლაპარაკი. გააგდეს სცენიდან ლექტორი, რომელიც ბლაღაჲდა ეროვნულ გრძობას და ჩირქსა სცხებდა დიდებულ ილიას. ვგონებთ, არც ერთ ერში არ მოიძებნება ისეთი სულმდაბალი ელემენტები, რომელნიც მოჰკლავდნენ თავიანთ ერის დამამშვენებელ გმირს... მაგრამ ბარბაროსულ ხანაში, შესყიდული ნაძირალები საზოგადოებისა არ ინდობდნენ ღვთის მოციქულსა და წინასწარმეტყველებსაც... ეს კიდევ წარმოსადგენია, მაგრამ როდესაც მოკლულს გმირსაც არ ასვენებენ საფლავში, როდესაც იმისთანა (ღმერთო შეგცოდე) ინტელიგენტები, როგორც გელეიშვილები, წულუკიძენი და სხ. გამოდიან და საჯაროდ ჰგმობენ დადბუნებოვან ადამიანს იმიტომ, რომ ლაქიას ფული არ მისცაო, ან გლესს წყალი არ დაანებაო — ეს მხოლოდ საქართველოშია შესაძლებელი. მხოლოდ საქართველოშია შესაძლებელი, რომ მზეს ტალახს ახავდნენ — შენს ბრწყინვალე სახეზედ შავი წერტილი რად არისო. მარტო საქართველოში მოიძებნება ისეთი მატლი — ადამიანი, რომელიც, გონებისა და გრძობის მიწიერებაში ჩაფლული, ველარა ჰხედავს ზეცას, თავისი ვარსკვლავებით, მთვარით და ცისარტყელითა.

სულით ლატაკი უნდა იყოს ის ადამიანი, რომ უბრალო მომაკვდავსაც პატივი არა სცეს: de mortuis aut bene, aut nihil, არამცთუ დიდებულ ქართველს არ დაუვიწყოს მცირედი შეცოდებანი და მის საფლავზედ, საცა გლოვა-ტირილი გვმართებს, ასტეხოს აურ-ზაური, თავისი ღვარძლიანი გულნამცეცობით. ფინია რომ სპილოსა ჰყევს — ადამიანს ეცინება, მაგრამ როდესაც ჩვენს ეროვნულ სიამაყესა და მასტადონტს, ადამიანის სახისანი დაჰყეფენ, დაჰყეფენ მის საფლავსაც კი — მაშინ — ეს რაღაც ვაჭხანაღიასა ჰგავს, რომელსაც ადამიანური ალაგმვაც ველარ იკავებს. — ილია მოჰკლეს, ილია ჯვარს აცვეს, ილიას ათასი ცილისწამება და ჭორი დასწამეს სიცოცხლეშივე, ილია სასტიკად დასაჯეს მცირედი დანაშაულისათვის! სხვაგან ტანჯვის გვირგვინსა და შარავანდელს დაადგამდნენ — ჩვენში დასჯასაც არ აკმარებენ, მკვდარსაცა სთხრიან და სჯიჯგნიან, როგორც მხეცები. ლექციები თბილისში, ლექციები ქუთაისში, ბათუმში, ოზურგეთში, ყველა სოფელსა და კუთხეში — რად, რისთვის? — ილია ფეოდალი და ჯამუში იყოვო... იყო, იყო! ილია ჯოჯოხეთის მოვლინება იყო, იგი უსასტიკესი, უქვემდრომელესი წერონი იყო საქართველოსი — მაგრამ ხომ მოჰკალით კიდევ ამისათვის და რაღა დაგრჩენიათ?! როცა ჯალათი კაცს დაჰკლავს, ან ჩამოაღრჩობს, მერე მიწას მიაყრის და... მოისვენებს, ან სინანულით იქნება პირჯვარიც გადაიწეროს და თქვენ, თქვენ, გელეიშვილებო და მახარაძენო, რა გინდათ კიდევ, რა? გინდათ ხალხს ჩაუნერგოთ სიძულვილი და უკუნითი-უკუნისამდე ანათემა ათქმევიანოთ? სადამდის მივა თქვენი სიმდაბულე და ღვარძლიანობა? ნუ თუ თქვენც სინიდისი (?) გაწუბებთ მზაკვრობისათვის და იმიტომ იახლებთ იარას თქვენსას და ქართველი ერისას? ან იქნება დაჰკარგეთ სინიდისი და დიდებულ საფლავზედ გინდათ დავლურიც სიბილწისა და სიბინძურისა დაუაროთ?

მაგრამ ხომ ხედავთ, ივსება ფიალა მოთმინებისა და დასცხერით, მოასვენეთ დიდებული ქართველი, თქვენი ბილწი ენისაგან, თქვენი ლექციებისაგან.

\* \*

# ავტოკეფალია და სრულიად

# რუსეთის საეკლესიო კრება



ამ ეპოქად სახელმწიფო სათათბიროში ირჩევა სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვა და, სხვათა შორის, როდესაც სასულიერო უწყების ხარჯთ-აღრიცხვას იხილავდნენ, თვით სინოდის ობერ პროკურორმა საბლერმა გამოსთქვა სურვილი და სათათბირომაც მხარი მისცა იმ მოსაზრებას, რომ ყველა საეკლესიო საკითხი გაიჩნეს რუსეთის მომავალ საეკლესიო კრებაზე.

უეჭველია, ამ კრებაზედვე აღიძრება საკითხი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ. იმდენად საყურადღებო და დიდმნიშვნელოვანი საკითხია ეს საკითხი ჩვენთვის, რომ უდროო არ იქნება ორიოდ მოსაზრებით კიდევ მოვაგონოთ ჩვენს საზოგადოებას მისი მდგომარეობა.

საკმაოდ გაზრდილია ქართული საზოგადოებრივი განვითარება და ამა თუ იმ საკითხის შესახებ თუ მთელი ერი, მთელი საზოგადოება თითქმის არასოდეს ერთხმად არ აღაღაღდედა ხოლმე ეს გასაკვირველი არ უნდა იყოს. მაგრამ აზრთა და მიმართულებების სხვა და სხვაობის მიუხედავად, ხშირად შესაძლოა თითქმის მოპირდაპირე მიმართულებანი, სხვა და სხვა გზით ერთ დასკვნამდე მივიდნენ, ერთნაირად აღიარონ მიმდინარე საკითხის მნიშვნელობა.

ამიტომაც უსამართლობა და გაუგებრობაა მხოლოდ მიზეზი იმისა, რომ ზოგი „ისტორიკოსი“ და წარჩინებული ვინმე მებრძოლი რუსეთის „პატრიოტთა“ ბანაკიდან სწორედ ამ უთანხმოების მითითებითა სცდილობს ქართული ეკლესიის თავისუფლებას ძირი გამოუთხაროს. დახედეთ, ავტოკეფალიას მხოლოდ ქართული საზოგადოების სებერატი-სტული ნაწილი ებღაუჭება, თორემ ქართველ ხალხს სრულიადაც არა სურს ეს ავტოკეფალიაო. თან გზა და გზა ჩვენ ხალხს, ქართველ ერს ეს საარაკო მისიონერები—ვოსტორგოვები და პამფლეტისტი „მამა ბუტკევიჩები“, სრულს ურწმუნოებას უკივილებენ. იმდენად გარყვნა ხალხი განსაკუთრებით უკანასკნელმა მოძრაობამ მაინც, რომ ისედაც გულ-გრილ ხალხს, სრულიად დაეკარგა სასოება და ეკლესიაში არც დადისო, დაგვეცინიან ეს ჩვენი არა მკითხვე ჭირისუფალნი და, წარმოიდგინეთ, ჩვენს განათლებას და მორჯულებასა სცდილობენ.

ვიმეორებთ, სრულიადაც არ არის გასაკვირველი რომ ჩვენს საზოგადოებაში ეკლესიაზე საერთოდ და მისი თავისუფლების შესახებ კერძოდ, მსგავსი შეხედულებისა არ იყოს ყველა მიმართულების ქართული. რასაკვირველია, ჩვენი დასელები ვერ გამოე-სარჩლებიან თვით ეკლესიის ავტოკეფალიას, რადგანაც მათი უახლოებლესი მიზანი ამ საკითხში ეკლესიისა და სახელმწიფოსი სრული გათიშვაა და ამას კი ისინი მოელიან არა ქართულ ეკლესიის განთავისუფლებისაგან, არამედ მთელ რუსეთში დემოკრატიული წესწყობილების განმტკიცებისაგან. ისინი იმისათვის იღვწიან და ამ აზრში აღრჩობენ ქართული ეკლესიის საკითხს. ეს ხომ ასეა, მაგრამ ეს საკითხი იმდენად საყურადღებოა ამ ეპოქად, რომ სრული სიჩუმით ვერც ეს ს.-დემოკრატები უვლიან მას გვერდს. თუმცა წაჯე-უკუჯექობით დასახასიათებელი სიტყვა იყო, მაგრამ მაინც იძულებული გახდა მე-III სათათბიროში ე. გეგექკორი კათედრი-დან მისთვის პასუხი გაეცა. ამ ეპოქად ვერ შევალთ იმათ ტაქტიკის განხილვაში ამ საკითხის შესახებ, მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ იმას ცალმხრივად უცქერიან.

რაც შეეხება სოც.-ფედერალისტებს, ისინი უეჭველია ვერ დადგებიან ს.-დემოკრატების პოზიციაზე და მათსავით ყურს ვერ მოიყრუებენ, რადგანაც, როგორც დეცენტრალისტები პოლიტიკაში, ისინი მხარს უნდა უჭერდნენ ეკლესიის თავისუფლებასაც და თუ ეს ითქმის უკიდურეს მიმართულებაზე, რათქმა უნდა ჩვენი საზოგადოების მეორე ნაწილი, სახელდობრ ეროვნული დემოკრატია და ნაციონალისტები უფროდინტერესებულები იქნებიან.

ეს საკითხი, სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, იმითაც კი არის საინტერესო, რომ მას დიდი ეკონომიური მხარეცა აქვს, და საკითხავია რუსეთის ბიუროკრატიისათვის რა უფრო დიდმნიშვნელოვანია: ამ საკითხის სარწმუნოებივ თუ ეკონომიური მხარე.

ჩვენ დაწვრილებით ვერ შევალთ ამ წერილში იმის განხილვაში, თუ კონკრეტულად მართლა რამდენი ქონება ჰქონდა და ჩამოართვეს და ისევ უნდა დაუბრუნდეს ქართულს ეკლესიას ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, მხოლოდ უკვე ცნობილია, რომ ეს ქონება რამოდენიმე ათეული და ასეული მილიონებით აღირიცხება.

მართალია, ავტოკეფალიას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი თვით შეგნების და თავისუფალ განვითარებისათვის და ამ მხრით იგი პოლიტიკის სფეროში იმყოფება, მაგრამ ეს ეკონომიური მხარეც რომ არ იყოს მართო პოლიტიკური ელფერი ვერ გააძნელებდა ჩვენთვის მისს განხორციელებას. ქართულ ეკლესიას უნდა დაუბრუნდეს წართმეული ქონებაც და ეს ქონება იმდენია, რომ ეკლესია თავის თავს თითონ შეინახავს და ქართველ ხალხს ეს მძიმე ტვირთი შესამჩნევად შეუმსუბუქდება. ამ რიგად, რომელ წრეშიაც უნდა გადაიხედოთ, ავტოკეფალიას ვერც ერთი ვერ შეხედავს გულგრილად და თუ ეს ხდება, მხოლოდ შეუგნებლობით და შეცდომით. ასე რომ ეკლესიის განთავისუფლება 1783 წლის რუსეთთან ხელშეკრულების მე-VIII მუხლის მიხედვით თითქმის მთელი ერის გულისთქმაა. გარდა ამისა, ჯერ ხომ ქართველებშიაც ბლომად მოიპოვება მორწმუნე ელემენტიც, რომლისთვის უბრალო რამ არ არის ქართული ეკლესიის სინოდის მიერ დატყვევება. განა მართლა ყველა ვოსტორგოვ-ბუტკევიჩივით ბრმა არის ან ძალად ბრმავდებიან, რომ ვერ დაინახონ ის მიზეზი, რის გამოისობითაც თანდათან ურწმუნო ხდება და უფრო და უფრო გაურბის ეკლესიას ქართველი ხალხი.

ამ საკითხის ბედი თითქმის გადაწყვეტილია რუსეთის მომავალ კრებაზედ, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ორ წინასწარ კრებას, სადაც ვოსტორგოვებმა გაიმარჯვეს და, თუმცა მთავრობამ პირდაპირ უჩვენა რა ფარგლებშიაც უნდა განეხილათ ეს საკითხი, ე. ი. მხოლოდ კანონიური მხრით უნდა განეხილათ, მაგრამ მაინც „პოლიტიკაში“ შესტოპეს.

რუსული ეკლესია, რომელიც თითონ ასეთი თავგამოდებით, თუ კი აწინდელ სასულიერო წოდებას ძალუძს თავგამოდება, იღვწის და იბრძვის რუსეთში პატრიარქობის აღდგენისათვის, იმავე დროს, სრულიად ულოლიკოდ და სამარცხვინოდ ებრძვის ამგვარსავე მისწრაფებას თავისი უფროსი დის, ქართული ეკლესიისას და ეგ ახირებულება თვით მინისტრმა სტოლიპინმაც კი აღნიშნა იმ დროებში.

რუსული ეკლესია, რომელმაც სიხარულით გადაიგდო მე-XVII საუკუნეში საბერძნეთის ეკლესიის უღელი და, რა თქმა უნდა, არაფრის გულისათვის არ დაუთმობდა იგი არავის ამ დამოუკიდებლობას, აგრე მოურიდებლად იღვწის იმ ეკლესიის მი-

მართ, რომელმაც IX—X საუკუნით მაზე აღრე მოიპოვა თავის უფლება და დამოუკიდებლობა და სურს დააკანონოს ის უსამართლობა და უკანონობა, რომელიც ამ ასი წლის წინად მოხდა.

განა რუსეთის ანათორიანმა პოლიტიკანებმა არ იციან და ვერა ხედავენ, თუ როგორ გადალახეს საეკლესიო კანონები, როდესაც ქართული დამოუკიდებელი ეკლესია უცხო ეკლესიას და ისიც სინოდს დაუქვემდებარეს, მაგრამ ამისთვის ისინი თავს არ იცხელებენ.

მომავალ კრებაზედ, რა თქმა უნდა შეეცდებიან ეს უკანონობა დააკანონონ და ამიტომაც მოუწოდებენ მსოფლიო პატრიარქთაც კრებაზე, მათი ავტორიტეტით ისარგებლონ მაგრამ იგი კრებაც ვერ დააკანონებს ამას, რადგანაც ეკლესიური კანონებით ეგ შეუძლებელია.

აგრედვე ფრიად საყურადღებოა, რომ ასე უყურადღებოდ დასტოვეს და გაუჩუმდნენ იმ საგულისხმო ფაქტს, რომ ანტიოქიის პატრიარქმა გერმანმა დასწრებაზე უარი განაცხადა და სხვათა შორის ის მიზეზი აღნიშნა, რომ არა მსურს ხელი მოუმართო ივერიის ეკლესიის თავისუფლების დასამარებას, რადგანაც ეგ ეწინააღმდეგება საეკლესიო კანონებსო. რას იტყვიან დანარჩენი პატრიარქები. დიდს იმედებს მათზე ვერ დავამყარებთ, რადგანაც საბერძნეთის ეკლესიაც დიდი ხანია შეირყა და მასთან „გველსაც ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“.

ჩვენს გაზეთებში ამასწინად უცაბედათ გაკენწლეს ის საკითხი, ამ კრებას უნდა დაესწრენ თუ არა ჩვენი ეკლესიის წარმომადგენელნიო. ჩვენს ჟურნალში ავღნიშნეთ მაშინ ორივე მოსაზრება და საჭიროდ ვსცანით დასწრება.

დიალ, ჩვენმა სამღვდელოებამ ამ საკითხში გამოცდილი ეგზამენი უნდა დაიჭიროს და ძალიან ფრთხილად უნდა იყვნენ, რომ საშვილიშვილო დანაშაული არ ჩაიდინონ თუ ვერ გაგზავნით ღირსეულს მოამაგეს ქართული ეკლესიისას, რომ გადაწყვეტით განაცხადოს ჩვენი ურყევი მოთხოვნა, მაშინ აგრედვე მტკიცედ და ურყევად აქედანვე უარი უნდა გამოცხადდეს იმ კრებაზე დასწრებისა და გზაც თითონვე ვეძიოთ საკითხის მოსაგვარებლად.

(X)

# სახ. სათათბიროს კომედია

— როცა სახლს ცეცხლი უკიდია, ფანჯარებს ვინა ზოგავს, სთქვა ერთმა მინისტრმა.

— რუსეთში, ღვთის მადლით, არა გვაქვს კონსტიტუცია, სთქვა მეორე მინისტრმა.

— რუსეთში ასე იყო, ასე არის და ასე იქნება სთქვა მესამემ.

ფანჯრებთან სახლსაც მოუნგრის კედლები და სახურავი.

კონსტიტუცია მართლაც არავის უნახავს რუსეთში.

ასე იყო, არის და იქნება.

მაგრამ მინც არის გულუბრყვილო ხალხი, რომელსაც ჰგონია, რომ მარტო შუშები და იმტვრა,

რომელიც ხედავს „დუმას“ სათათბიროში, რომელსაც იმედი აქვს, რომ ასე არ იქნება და ასტყდა აყალ-მაყალი... რაზედ?

ჩხვიძე პასუხის გებაში მისცეს!

20 დეპუტატი სათათბიროდან გამორეკეს!

კადეტებმა ბიუჯეტის დამტკიცება... იუარეს მორცხვად!

განა რა მოხდა არა ჩვეულებრივი?

პირველმა მინისტრმა მთელი სათათბირო დაითხოვა და თავისი კანონი გაიყვანა დასავლეთ გუბერნიებში.

მეორე ყურსაც არ იბერტყავდა „სალაყბოს“ \*) ნალაპარაკეზედ.

მესამემ დაცივით უთხრა ლენის აწიოკების შემდეგ: ასე იყო, არის და იქნება.

დღეს კი უკვირთ, რომ ჩხვიძე სამართალში მისცეს, 20 დეპუტატი დაითხოვეს.

რა არის აქ გასაკვირველი?

მე მიკვირს, რატომ სულ არ დაითხოვეს ის „სალაყბო“, რომელიც მხოლოდ დაყბობაში იმოდენა სახაზინო ფულსა ხარჯავს, როდესაც ეს ფული შეიძლება მოხმარებოდა საზღვრების დაცვას, მოხმარებოდა უფრო მძიმე ტყვია-წამალს, ვიდრე მსუბუქი სიტყვაა, უფრო მჭრელ ხიშტებს, ვიდრე ჩხვიძის, როდიჩევის ან მილიუკოვის მკვეთრ „რეჩებია“ ან გელოვანის მჭერმეტყველური დუმილი... ავტონომიაზედ... ისეთ დუმილი, როგორც... თამა-

მი ბავშვები რომ დაიბადებიან, ლაპარაკს იწყებენ, მაგრამ პირველსავე ავადმყოფობაზე ენა ჩიუვარდათ და დიდხანს, დიდხანს... როდეს აქეთია, ღმერთო? ჰო, პირველ იანვარს აქეთია, ხმას უკვლავ ამოიღებენ...

ჰო, რას ვამბობდი...

რამ ააღელვო ხალხი, რამ შეაწუხა? პირიქით, უნდა უხაროდეს, რომ ბიუროკრატია ერთხელ სიმართლის თქმა მოინდომა და თვალთმაქცობას თავი დაანება: აქამდის ამბობდა: ღვთის მადლით არა გვაქვს კონსტიტუციაო და თან საზღვარ-გარეთელ სტუმრებს „დუმაზედ“ უჩვენებდა *s'il vous plait, voila notre Constitution* და ლაქუცით ელიმებოდა: ფულს ხომ არ გვიბოძებთ ზარბაზნებისათვისაო. დღეს კი ნილაბი აიხადა და იმ დუმას, რომელსაც ჩამოათალა, რაც კი ჩამოეთლებოდა და ხოხოზიკები შეიწვა, — გამოუცხადა:

Не смѣть свое сужденіе имѣть! და ჩხვიძე სამართალში მისცა.

რა არის აქ გასაკვირველი?

თითქო ახალი ამბავი იყოს.

თითქო ახალი ხილია, რომ ჩხვიძეებს სამართალში აძლევენ, თითქო ამისთანები გვენახოს ამ ხნის განმავლობაში.

— ასე იყო, არის და იქნება.

— რუსეთში, ღვთის მადლით, არა გვაქვს კონსტიტუცია.

ნაცარა.

## ძია ფრანცი

(დ. ტომასი)

ძია-ჩემი ფრანცი სამსახურთავდანიებულები მაიორი იყო.

ერთხელ დედა-ჩემს მოსწერა: შენი შვილი აქ გამომიგზავნე, კაი კაცად ვაქტვეო. ბევრს არას გამოგართმევ, თვეში სულ 80 მარკად დაგიხვამ მაგის შენახვასაო. დედა-ჩემსაც ძალიან გაეხარდა, ამკიდა გუდა-ნახადი და გამისტუმრა იმ ქალაქში, სადაც ბაძა-ჩემი ცხოვრობდა. ძალიან დაუდონდი. ძია მკხუთე სართულში იდგა, გარშემო სულ მაღალი სახლები იყო ამართული; ერთი ბაღი არსდა სწანდა, რომ ადამიანი კართობილიყო.

თამაშობა არ შეიძლებოდა და არც არავინ იყო ისე-

\*) Parliament=სალაყბოს.

თი, რომ ჩემთან ეთამაშნა. ძია ფრანცი და ძალუა ანა ქარივით სულ თავს დამტრიალებდნენ, თვალი ეჭირათ ჩემზე, ეშინოდათ, ეშინდ არაფერი ჩაიდინოს ისეთიო. ძია ძალიან მკაცრად მეპურობოდა და, როცა კი დამინახავდა, მუდამ იმას მეუბნებოდა: დამაცა შე არამზადა, შენთვისაც მოვიცლიო.

მეტო რა ჩარა იყო, მეხუთე სართულის ფანჯრებიდან უნდა მეფურთხნა ქუჩაში, რომ გული გამეუოლებინა. ფურთხს წკაპანი გაჭქონდა მიწაზე; ხანდისხან გამვლელებს ეცემოდა თავზე, და გინება ისმოდა. მე ვიციინოდი, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ მხიარულად მაინც არ ვიყავი.

მასწავლებელს თვალის დასახახავად ვეჭვავებოდი. შენაო, — მეუბნებოდა, — ცუდი სახელი მოიტანე თანაო.

სტუეოდა. მე თან არაფერი მომეოლია. რექტორის ცოდეს ღამის ჭურჭელში სოდა ჩავუყარე და იმიტომ დამივარდა ცუდი სახელი.

მაგრამ ეს კარგა ხნის ამბავი იყო, და სწორე გითხრა, არა ღირდა იმით, რომ მასწავლებელს იმის გულისთვის ავეთვალწუნებინე.

ძია ფრანცი მასწავლებელს კარგად იცნობდა და ხშირად დაიარებოდა იმის სახელში.

ორივემ გადასწვიტეს, ანცობისათვის დრო აღარ მოეცათ ჩემთვის.

მოვიღოდი თუ არა სკოლიდან შინა, მაშინვე გაკვეთილებს ვეუფლებოდი.

ძია თვალს არ მაშორებდა და სულ შემუქრებოდა: დამცა, დამცა, რა გიყო მე შენაო! შენ კიდევ რადასაც ეშმაკობ განაო?

ერთხელ არითმეტიკული ამოცანა მომცეს გასაკეთებლად; ვერ გავაკეთე და ძიას მივმართე. ძია დაპირებული იყო დედა-ჩემთან — უნდა მომშველებოდა, როცა გამიჭირდებოდა. ძალუაც მეუბნებოდა, ძია-შენა ძალიან ჭკვიანი კაცია და ბევრს რამეს ისწავლი იმისგანაო.

მეც იმიტომ მივმართე ძიას, მიშველე-მეთქი, ვუთხარი. წაიკითხა ამოცანა.

— კიდევ ვერ ისწავლე გაკეთება, მე უვარკისო შენა? — მითხრა ძიამ. — ეს ხომ ძალიან ადვილი ამოცანაა.

ჩავდა და დაიწყო ამოცანის გაკეთება.

მაგრამ საქმე არც ისე ჩქარა მიდიოდა წინა. გააკეთე-მეთქი, ვაკითხებოდი მე ბიძა-ჩემსა, ის კიდევ უდიერად იღანძლებოდა და ჭავრობდა.

მხოლოდ ვახშმის წინდა მომიტანა გამოანგარიშებული ამოცანა და მითხრა: ეხლა კი შეგიძლიან დასწერო; ამოცანა ძალიან ადვილია, მაგრამ მე ხომ სხვა საქმეებიც მქონდა, მე სულელო, შენაო!

გადავწერე ამოცანა და მასწავლებელს წარუდგინე. ხუთშაბათს რვეულები დაგვიბრუნეს. მუცანა, ხუთი შეუალებოდა, და ორი კი დავიხახე, მთელი ფურცლები წითელი შედნით იყო აჭრელებული. შიზლინიშისა

— ასე სულელურად მარტო ვირი თუ გააკეთებდა ამოცანას — მითხრა მასწავლებელმა.

ეგ მე არ გამიკეთებია. — ვუთხარი მე. — ბიძა-ჩემმა გააკეთა და მე კი მხოლოდ გადავწერე.

მთელმა კლასმა, როგორც ერთმა ადამიანმა, გადინახარა.

— შენ თავხედი მატყუარა ხარ. შენ სატუსადო მოგელის. — მითხრა წამოჭარხლებულმა მასწავლებელმა და ორი საათით კარცერში ჩამაგდო. სახელში ბიძა გამზადებულიყო ჩემდა საცემრად (წესდა ჭქონდა: როცა კი დავიგვიანებდი, მცემდა).

— შენი ბრალაა, შენი, რომ დავიგვიანე! — დაუვიერე მისულისთანავე. — ამოცანა სწორედ ვერ იყო გაკეთებული. მასწავლებელმა სოჭვა: ასე ამოცანის გაკეთება მხოლოდ ვირს შეუძლიანო.

ცემა მაინც არ ამცდა: ბიძა ჩემმა კარცებისა მითავაზა და გარედ გავიდა.

ჩემმა ამხანაგმა ჭერის გრეატერმა მიამბო მერე: ქუჩაში ბიძა-შენი და მასწავლებელი ვნახე, ერთად მიდიოდნენ და ცხარეთ ლაპარაკობდნენო. ბიძა-შენი ხშირად ჩერდებოდა და მასწავლებელს რაღაცას უმტკიცებდაო.

მეორე დღეს მასწავლებელმა გამიძახა და მითხრა:

— ხელმეორეთ გადავთვალე რე შენი გაკეთებული ამოცანა. სწორეა, მაგრამ ძველი წესით არის გაკეთებული. ეგ წესი ეხლა აღარ იხმარება. მართალია კარცერში ჩავსვი, მაგრამ ეგ არაფერი. შენ მუდამ კარცერის ღირსი ხარ, მერე ამასთანავე ამოცანა შეცდომებითაც გადაგწერა.

სახელში რომ დაუბრუნდი, ახლა ბიძა-ჩემმა მომმართა სიტყვით.


— მე ველახარაკე შენ მასწავლებელსა. — მითხრა ძიამ. — ამოცანა სწორედ უთვლია გაკეთებული, მაგრამ შენ უკულისუროდ გადაგიწერია, მე ბილწო, შენა!

ხედავთ, მოილანარაკეს და მე გამოვედი მტყუანი! მალე დედა-ჩემისგან წიგნი მომივიდა.

— ძია-შენი გიხივის, შვილო. — მწერდა დედა. — ასე მითვლის: აღარ დაუვხმარები შენ შვილსა, უბრალო გაკეთებულ ამოცანის გადაწერაც არ შეუძლიან და ამის გამო უხერხულ მდგომარეობაში ვვარდებიო.

ერთი ამ არამზადს უუერეთ და რა მიუწერია!

ირ. სონღულაშვილი.



# თამარის დღე

ყოველ საკითხს შეიძლება ჩვენ სხვა და სხვა მხარიდან მიუახლოვედეთ და განვიხილოთ, მაგრამ ბევრი საკითხი არ არის ისეთი ყოველი მხრით საინტერესო და დიდმნიშვნელოვანი, როგორც პიროვნება იმ უკვდავ ადამიანისა, რომელიც მეთორმეტე საუკუნის ქართველობამ სამეფო ტახტის ღირსად გაჰახადა და შემდგომში შთამომავლობამ დიდების და სიწმინდის შარავანდელით შემოსა.

რა თვალითაც არ უნდა შეხედოთ თამარ მეფეს, იგი იმდენად ყოველმხრივი და იმდენად მრავალფეროვანი პიროვნებაა, რომ საკმაო მასალას იძლევა ისტორიულად, თუ პოლიტიკური, თუ ეკონომიური, ან ხელოვნების სფეროში კვლევა-ძიებისათვის-

ამ სახელში შეერთდა წარმოდგენა ჩვენი ერის სიძლიერეზე, ჩვენი კულტურის მდგომარეობაზე ჩვენი თვით-შეგნების განვითარებაზე: როგორც ბავშვების ხანა არის ადამიანისათვის საამური მოსაგონარი, რადგანაც იგი იმ დროებში პირველად გრძნობს თავის თავს, პირველად მაშინ აუთამაშდება შეგნების და თვით-შეგნების აღლო, აგრედვე ქართველი ერისთვისაც თამარის დრო არის ის ნეტარად მოსაგონი დრო.

სხვა და სხვა ხელსაყრელი მიზეზებისა და პირობების წყალობით იმ დროს მიაღწია ქართველი ერის ყოველ მხრივმა განვითარებამ თავის უმაღლეს წერტილს და ერის უმაღლეს განცდათა გამოძახებულად და მტვირთველად განგებ ქალი აირჩია. არ ეუცხოვა, არ იუკადრისა ქართველობამ, არ შეშურდა ქართველ მამას ქართველი ერის წინამძღვრობა, მოწიწებით მის წინაშე მუხლი მოიყარა და თავისი ძალა ქვეყნის საკეთილოდ მის სათნოებას, მის სინაზეს, მის ღვთიურ სილამაზეს გარს ზღუდვდ შემოარტყა.

მართალია, კაცობრიობის წარმოდგენით ქალთა ბატონობაზედ ლეგენდებიც კი შემდგარა, მართალია თითქმის, ყოველ ასე თუ ისე, კულტურულ ერს ჰქონია და გამოუვლია რომანტიული ხანა, რომ ანტიური განწყობილება ქალისადმი; სემირამიდა, კლეოპატრა, ენა-დარკი არიან გამოძახებულნი სხვა და სხვა დროს, სხვა და სხვა ერის სხვა და სხვა გვარ განწყობილების მაჩვენებელნი. ადამიანის გაჩენიდან, ე. ი. სქესთა გათიშვიდან, იმ დროიდან, როდესაც სხვა და სხვა სქესი გამოინაკეთა ქალი მთელი სამყაროს გამოცანად შეიქმნა. მამაკაცისათვის ქალი აურაცხველ სხვა და სხვაობისა და შეურიგებელ წინააღმდეგობათა მატარებლად შეიქმნა.

მამაკაცმა თავისი ფანტაზიით პირველ ქალს დაადო ქვეყნის ცოდვა ტვირთად პირველი ცოდვის მიზეზად იგი დასახა. ამავე მამაკაცმა და იგი-

ვე ქალი გამოიყვანა ქვეყნის მხსნელად გააღმერთა და თაყვანი სცხა. ამავე ქალისაგან მიიღო საქართველომ სიყვარულის, სათნოების და ღმობიერების მცნება და გაღმერთებული ადამიანის ბრწყინვალე სარწმუნოებით ამავე ქალმა გავრცალთქა ქართველები დიდი ხანია შეჩვეულნი იყვნენ პატრიარქატს და თითქმის გაღმერთებას ქალისას და ამიტომაც საჭირო არ იყო უცხო ქვეყნების, მეზობლების გავლენა და მაგალითი, რომ ქართველთა უმაღლეს აღფრთოვანების ხანაში ეს შეზედულება უკვე დასრულებულ კულტად გადაქცეულიყო.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ დროინდელ ჩვენს უახლობელეს მეზობლებს, რომლებთანაც გვიხდებოდა ურთიერთობა და რომელთა მწერლობის ზედგავლენას განვიცდიდით. უნდა ერთი შეხედვით ამ კულტის შექმნაც ამ გავლენას მივაწეროთ, მაგრამ ეს არ არის მართალი. პირიქით, თუ მაგალითად აღმოსავლეთისაკენ გადავიხედავთ, იქ სპარსეთის ცხოვრება სრულიად საწინააღმდეგო სურათს გვაძლევს.

შეადარეთ „ვეფხისტყაოსნის“ გმირები, ნესტანი და თინათინი ვისრამიანისა, ამირან-დარეჯანიანისა და სხ. ნაწარმოებთა გმირებს და დაინახავთ, რომ როგორც ხასიათებით, ტიპებით, აგრედვე მდგომარეობით არავითარი მათ შორის არ არის. რა თქმა უნდა ამ კულტის შემუშავებაში დასავლეთ ევროპის რაინდობას მეტი გავლენა ჰქონდა, მაგრამ მის შეთვისებას თვით ქართულ ნიადაგშიაც ჰქონდა ფესვები ღრმად გადგმული.

ამნაირად თამარი, თამარის მოგონება, თამარის დღე ჩვენთვის ღირსმნიშვნელოვანია ამიტომაც უმთავრესად, რომ იგი მაჩვენებელია ჩვენი თავისებულობისა და კულტურობისა, ხალხმა მიაღწია იმ შეგნებამდე, რომ არ ეჩოთირებოდა სქესთა თანასწორობაზედ ლაპარაკი და ქალი გაამეფა. იმდენად ღირსშესანიშნავია ეს მოვლენა, რომ ჩვენს დროში ბევრს ანცვიფრებს ბევრს ვერ შეუგნია მნიშვნელობა თამარის დიდი ლეგენდისა და აი კიდევ გამოჩენილმა მწერალმა კნუტ ჰამსუნმაც ვერ შეიძლო მისი სიღრმის გაზომვა და ამ რამოდენიმე წლისწინად ყოველად უმსგავსო დრამა დასწერა თამარის შესახებ.

თამარი ქართველებისათვის სიმბოლოა. თამარი გამომხატველია ერის მთელი ვითარებისა. თამარის დრო უუმშვენიერესი დროა ჩვენი ერის ისტორიაში იმიოთ მაინც, რომ „მისთვის ოცნება გუფს გაკვირბოლებს

სუფს მანაჰებს შეება და ღხუნას  
 ჩანგაც მგოსანის აღფრთოვანება  
 მის სადიდებლად დაიწეებს ქაქრას“...

უცნობი.



# აშურიანის გარშემო

მოძრაობის შემდეგ ჩვენი მემამულეები სკდილობენ გამოემშვიდობონ თავიანთ მამულებს. გლებკაცობა, ჯერ დაიმედებული, რომ მიწები უფასოდ დაგვრჩებაო, რაკი დარწმუნდა გაძლიერებული რეაქციის დროს, რომ იმედი ტყუილია, ისევე თვითონ შეეცადა მამულის შესყიდვას. უკანასკნელ წლებში აუარებელი მამული გადადის გლებკაცობაზედ, როგორც რუსეთში ისევე ჩვენში საგლებო ბანკის წყალობით. ქართლში ამ საერთო მოვლენაში შეიტანა დისონანსი კაპიტალმა, როცა მანთაშევმა აშურიანი დაინარჩუნა. მე მინდა გავჩერდე იმ მიზეზებზედ, რომელთაც ხელი შეუწყვეს ამ ბარბაროსულ შესყიდვას.

ს. მეტეხი აქამდის იკვებებოდა აშურიანით. მეტეხელებს მტკვრის გამოღმა საკუთარი მიწა ნაკლები აქვთ და იძულებულნი იყვნენ მტკვარს გაღმა აშურიანი ეხნათ. დიდ გაჭირვებას განიცდიდნენ მეტეხელები მტკვრისაგან, სანამ ბორანს გააკეთებდნენ: ბევრი წარმოსადეგი, ჯანით სავსე გლებკაცი გამოუსალმებია სიცოცხლისათვის მტკვარს გასვლა-გამოსვლაზედ, ბევრი ძნით დატვირთული ურემი ხარიან-კამეჩიანათ შთაუნთქავს თავის ულმობელ—მოცინარე ტალღებში... გაჭირვება აიძულებდა გლებკაცს ეყურებია სიკვდილისათვის თვალებში... ბორანმა ამ მხრივ დიდი შეღავათი მისცა მათ და იმ გაჭირვებას აღარ იტანენ... ცხოვრების პირობები შეიცვალა, ხალხი გამრავლდა, მიწა უარესად დააკლდათ, მოძრაობისაგან გლებკაცის მდგომარეობა არ გაუმჯობესდა; მეტეხელებიც შეეცადნენ თავისი ცხოვრების პირობების შეცვლას და თ-დ წერეთლის წილი აშურიანზედ შეისყიდეს. ამავე დროს სკდილობდნენ შეესყიდნათ ლენერალ ამილახვრის წილი. მაგრამ... აქ ცოტა უნდა შევჩერდე და ავღნიშნო ერთი ღირსშესანიშნავი ფაქტი. როდესაც მეტეხელები უიღულობდნენ თ-დ წერეთლის წილს, ამორჩეულთა რიცხვს შეეკედლა ორი გაბრწილი და სინიდის დაკარგული პირი \*), რომელთა ხელში, როგორც გაგებულ ხალხისა, სოფლის ფული აღმოჩნდა და იმათაც არ დაინდეს და გაუფლანგეს ათას-ხუთასი მანეთი. საწერეთლო მამუ-

ლი ეხლაც დაგირავებულია და წრეულს კინალამ ათ თუმანში გაიყიდა. ამ მამულმა იმსხვერპლა აქური შეგნებული გლები დ. კ., რომელსაც იმ გათახსირებულმა პირებმა კატორღამ მისსჯელობნეს, როდესაც მან როგორც ამორჩეულმა პირმა ფულის გაფლანგვა აღმოაჩინა და წინადადება მისცა მათ ფული შეეცათ. დ. კ. ეს საიღუმლოება ციმბირში თან წაიღო. იგი მოელოდა სასჯელის პატიებას და რა რომ ველარ ეღირსებოდა სამშობლო ცის დანახვას, მოსწერა მომრიგებელ შუამავალს თხოვნა და აღუნუსხა ყველა საქმის ვითარება სოფლის ფულის გაფლანგვის შესახებ.

— ამტენი ფული დავხარჯეთ შენი ქირიმე, ჩივიან მეტეხელები, თითქო ყველამ ჩვენი წილი შევიტანეთ და ე რალათ გვთხოვენ სარგებელი შემოიტანეთ?! ოი, „პავერნიებო“ თქვენ ხართ სოფლის ამომგდები. ასე გულამომჯდარი მოსთქვამს მეტეხელი, იცის ნამდვილი მისი დამლუპველი ვინც არის, მაგრამ შიში აქვს და ხმა ვერ ამოუღია, რადგან იცის რომ იგი ღონიერია და მასთან ვერას გახდება. ისინი კი თავიანთვის კეთილად და არხეინად სცხოვრობენ, უიღულობენ თავიანთვის მამულს, იშენებენ ვენახს, აერთიანებენ მამულს. მეტეხელები ამათი ქცევით ძალიან შეშინდნენ და ველარა ბედავდნენ „ლენერლის“ წილის შესყიდვას.

— ე შვილო, ეგ წერეთლის მამული ვერ დავგრჩენია, გაგვატყავეს, ფული შეგვიქამეს და ახლა ეგ არ გვეყო, რომ სხვას შევაქამოთ! ამბობდნენ მეტეხელები, როცა ეუბნებოდნენ ამილახვრის წილი შეისყიდეთო. ამასთან ხმა გავარდა, რომ ლენერალ ამილახვარს სიკვდილის წინ ანდერძი დაუფდია თავის შვილებისათვის: „მეტეხელებს ნუ გასწირავთ და აშურიანი სხვას არავის მიჰყიდოთო“. (რამდენად დაუფასებიათ მამის ანდერძი შვილებს, მათი ქცევა ამტკიცებს): ეს ხმა გლებკაცებს გულს უმაგრებდა და აშურიანის გამანთაშოვება მეზივით დაატყდათ თავზედ. თავხარდაცემული მეტეხელები დიდ საგონებელში ჩავარდნენ. აშურიანის დაკარგვამ წაჰკრა კისერში მეტეხელებს, დაფაცურდნენ „სხვა მამულიც არ გამოგვეცალოს ხელიდან და ყულები არ დავგვეჭრასო“ ღ შეეცადნენ წვრილი მამულის შესყიდვას. აშურიანის მომიჯნავე მამული შუა მთის ყიდვა მოისურვეს. აირჩიეს პატიოსანი კაცები, შეაგროვეს ფული და სასყიდლად თბილისში გამოგზავნეს. საგლებო ბანკში, რომელსაც ეკუთვნის შუა მთა, ცივი უარი მიართქვეს: „შუა მთას არა

\*) მათ ვკარგის, როცა საჭარო იქნება, კაცნობებით საზოგადოებას.

ვყიდით, რადგან ეგ მამული პოლიგონში შედისო“. წარმოიდგინეთ როგორ დახოცილები დაბრუნდნენ სოფელში.

პოლიგონის დაარსებამ დიდ საგონებელში ჩააგდო მომიჯნავე სოფლები ყარაღაჯი, გრაკალი, სასირეთი, ბარნაბიანთკარი, მეტეხი, გომი... ეს სოფლები იჯარით იღებდნენ სწორედ იმ მამულს, რომელის აქეთა მხარეს დაიკავებს მომავალი პოლიგონი, ისე რომ ტირიფონაზედ მოსახლე სოფლების გაქვივრებას ეს სოფლებიც განიცდიან. ამასთან ერთი უცხო ხმებიც დადის სოფლებში, ვითომ საიდუმლოდ აგროვებენ ცნობებს აქაურ მდებარეობაზედ და აყრილი სოფლების შიგ ჩასახლება ჰსურთო. რამდენად მართალია ეს ხმები არავინ იცის.

მანთაშევის აშურიანზედ აქამდისინ მუშაობდნენ, ქარხნისათვის ეზიდებოდნენ ქვიშა რიყეს — ახლა კი ტელეგრამით შეაჩერეს მუშაობა, რადგან ეს მამულიც პოლიგონის ალაგში მომხვდარა.

თ. ახირებული.

## მცირე შენიშვნა

პოლიტიკურ თავისუფლებას მოკლებულ ერის შინაგან ძალას, მისი ორგანიზმის ერთიანობას შეადგენს ხოლმე უმთავრესად სხვა და სხვა კულტურულ და ეკონომიურ ორგანიზაციათა მჭიდრო კავშირი, მათი მოქმედების შეთანხმება და მიზანთან შეწონვა. თუ ერს, არა აქვს ერთი რომელიმე დაწესებულება — მთავრობაა იგი, მეფე, პარლამენტი, თუ სხვა რაშ, არა ჰყავს მოთავე ორგანიზაცია, რომლის განსაკუთრებულ დანიშნულებას შეადგენდეს მთელი ერის ყოველმხრივ ინტერესებზედ ზრუნვა — მაშინ თვით პერიფერია, მაშვალი ორგანოები იღებენ ამ როლს თავის თავზედ და გამოჰყოფენ ისეთ ნაწილებს, რომელნიც ინტერესთა ერთმანეთთან შეგუებით ჰქმნიან საერთო ორგანიზმის ჯანმრთელობას და სპობენ ძალთა უბრალოდ დაქსაქსვას. ასეა ყველგან, საცა პოლიტიკური ცხოვრება ეამთაბრუნვით მოსპობილია, მაგრამ ერი კი არ ათქვეფილა, არ გახსნილა იმ ზღვაში რომელიც გარს შემოხვევია. ასე იყო ისტორიულად, ასე იყო ისტორიულ ხანის წინ; ასე იყო საბერძნეთის,

რომის და სხვათა მფლობელობის დროს; ასევე ხდებოდა უკანასკნელ დროს საბერძნეთსა და ბულგარეთში, ასევეა ჩეხიასა და პოლონეთში; სულ უკანასკნელ დროს უკრაინასა და სლოვაკეთშიც. ეს პირუცველი კანონია ერთა ცხოვრებისა; ასევე უნდა იყვეს ჩვენშიაც. ჩვენ არა გვაქვს რომელიმე ერთი დაწესებულება, რომელიც ზრუნავდეს ჩვენს საერთო ეროვნულ ინტერესებზედ, ენაზედ, ტერიტორიაზედ, ეკონომიურ კეთილდღეობაზედ და სხ., რადგან გაბატონებული ბიუროკრატია პირიქით და ინტერესებულია, შეუგნებლობისა გამო, ჩვენს ათქვეფასა და გახსნაში, ჩვენს რუსიფიკაციაში; ჩვენ არა გვყავს საკუთარი არჩეული თვითმართველობა არამცთუ საერთო ეროვნულ საქმეებისათვის, არამედ ცალკე დაბა-ქალაქთა და სოფელთა ინტერესების დაცვისათვისაც. ჩვენ დაქსაქსულნი ვართ. ამიტომ უაღრესად საჭიროა შეკავშირება, კოორდინაცია ჩვენის ძალებისა და გამოჩახვა იმ საფუძვლისა, რომელზედაც ყველა ჯგუფი იპოვნიდეს ხელმოსაყიდებელს, რომ საერთო საქმე გამაგრდეს, ეროვნული შეგნება განმტკიცდეს.

მაგრამ განსხვავება ჩვენსა და სხვა პატარა, თუ დიდ უუფლებო ერთა შორის, საუბედუროდ იმაშია, რომ კულტურულ-ეკონომიური ორგანიზაციებიც ნაკლებადა გვაქვს ძალიან, და რაცა გვაქვს, ისეთი სუსტნი, რომ მათი გაერთიანებითაც ნაკლები ძალა შეიქმნება. ამით აიხსნება, რომ უაღრეს როლს ამ შემთხვევაში თამაშობს პრესა, საცა გამოითქმება ხოლმე სხვა და სხვა მიმართულების და ჯგუფის შეხედულობა. მარტო პრესის საშუალებით შეუძლიან ქართველ ერს ხმა მიაწვდინოს ერთმანეთს და თავისი გულნადები უთხრას, რადგან არ არსებობს სხვა თითქმის არც ერთი დაწესებულება, ან ადგილი, საცა შეიძლებოდეს ლეგალურად ეროვნული პროგრამის შემუშავება, ცხოვრებაში გასატარებლად. ყოველი ორგანიზაცია წინდაწინვე არაკეთილსაიმედოთ არის ცნობილი და ათასი არგუსი ჰყავს მიჩენილი — ვიწრო ფარგალს არ გასცდნენო. ამ შემთხვევაშიაც პრესა უნდა თამაშობდეს იმ დიდ როლს, რომელიც აკავშირებს მცირედ ძალებსაც კი საერთო მისწრაფებისათვის და ამას ვხედავთ კიდევ დღევანდელ ჩვენს პრესაში; ოღონდ მწარე სინამდვილე იმას გვიჩვენებს, რომ ეს კავშირი ჯერჯერობით უფრო გარეგნულია, ე. ი. სურვილების ფარგალს ვერ გასცილებია და ნამდვილ საზოგადო აზრის შესაქმნელად უმთავრეს საკითხებში, რომელნიც ეროვნულ ინტერესებს შეეხებიან —

ჯერ კიდევ შეხლა-შემოხლაა გაჩაღებული აქამდის. ჯგუფობრივი დიფერენციაციით გატაცებულნი, ყველანი იბრმავებდნენ თვალებს საერთოზედ, მაშინ როდესაც დიფერენციაცია მომასწავებელი უნდა იყვეს საერთო პროგრესისა. საფრანგეთსა თუ გერმანიაში, ან ინგლისში გაცილებით უაღრესი დიფერენციაცია არის მომხდარი ერის სხვა და სხვა წოდებათა, კლასთა თუ ჯგუფთა შორის, მაგრამ მთელი ერის საერთო კეთილდღეობა ამით შერყეული არაა; პირიქით, მათს შეხლა-შემოხლასა და ბრძოლაში იკვერებიან უკეთესი პირობანი ცხოვრებისა, უმჯობესი წყობილება სოციალური და პოლიტიკური—ოღონდ ყველა ინგლისელს ახსოვს, რომ იგი ინგლისელია და სამშობლო უყვარს, ყოველს ფრანგს თავის ფრანგობა და თავის სამშობლოს არავიზედ გაჰყიდის ან გასცვლის, სოციალისტია იგი, ბურჟუა, თუ არისტოკრატი. ჩვენში კი მტრობა ერთ საფუძველზედ—უეჭველად ყოველმხრივი ხდება და ამიტომ ვიქსაქსებით. როდის მოვალთ გონსა ძნელი სათქმელია. კიდევ რამდენჯერმე ლონივრად უნდა ჩავვკრან თავში მოძმეთ და მტერთა, რომ ეს უბრალო ქეშმარიტება შევიგნოთ?

რ. გ.

### უკანასკნელი ამბები

სამშაბათს 6 მაისს მიხაილოვის ქუჩაზედ № 66 კარაპეტიანცის ბაღში, გაიმართება დიდი სეირნობა, ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების კრა-კერვის სკოლის სასარგებლოდ. იქნება საბავშვო განყოფილება, დაუქრავს მუსიკა და სხ. იმედია, ქართველი საზოგადოება ხელს შეუწყობს ამ ფრიად სიმპატიურ საქმეს, ღარიბ ქალთა აღზრდისას და 6 მაისს არ დაიშურებს თავის წვლილის შეტანას.

მკითხველმა უკვე იცის, რომ ამ მოკლე ხანში თბილისის მაზრის სოფლებში: ლილოსა, ნორიოსა და მარტყოფში ნაფთი აღმოაჩინეს. როგორც

გვატყობინებენ განცხადებებს ამის თაობაზე აღარ იღებენ შეტანილია თურმე მრავალი განცხადება.

ილია ჭავჭავაძის სახლის გამოსასყიდ კომისიაში აღიძრა საკითხი, რომ ამავე კომისიის წევრის როს საზოგადოთ ილია ჭავჭავაძის სახსოვარ ძეგლებზედ ზრუნვა. სხვათა შორის, ალადგინოს და ღირსეულად მოაწყოს ყვარლის კოშკი და მამულიც. წ.-კ. გ. საზოგადოების მთავარი გამგეობა, იმედია, ხელს შეუწყობს ამ განზრახვას და თელავის განყოფილება, ვგონებთ, მხარს დაუჭერს, როგორც მისგან აღძრულ ინიციატივას. ქართლ-კახეთის თავდაზნაურობის მარშალმაც გამოსთქვა ის აზრი, რომ კარგი იქნებოდა ამ საქმეში შეთანხმება, რადგან ეს თავდაზნაურობასაც გაუადვილებს საჭირო დახმარების გაწევას.

როგორც გავიგეთ, ქართლ-კახეთის თავდაზნაურობას შეუძენია მშვენიერი ნაჭერი მიწისა, რომელიც უანდერძა წ.-კ. გ. ს. დ. ზ. სარაჯიშვილმა. ეს ძვირფასი ადგილი წყნეთისა და კობის ქუჩის კუთხეზედ, როგორც ხმები დადის, თავდაზნაურობას აზრად აქვს გამოიყენოს დეპუტატთა საკრებულოს საკუთარ შენობისათვის, მაგრამ სრული იმედი უნდა ვიქონიოდ რომ ასე უბრალოდ და ადვილად არ გადასწყდება საკითხი საქალაქო მიწის 1600 ოთხკუთხი საეგნისა.

ახალმა კავკასიურმა სავაქრო-სამრეწველო ბანკმა განაგრძო ხელის მოწერა აქციებზედ 7 მაისამდის, „რაკი პროვინციალურ კომიტეტებმა ითხოვესო“. თუ მართალია, რომ ხელის მოწერამ უკვე სამ მილიონს გადააქარბა, ჩვენის აზრით, სააქციონერო თანხის გადიდება, უბრალო გატაცებით და აიხსნება, რადგან ეს, ჯერ ერთი შეამცირებს დივიდენდის რაოდენობას და გულს აუცრუებს აქციონერებს, მეორე რომ სამი მილიონის დატრიალებაც ისე ადვილი არ იქნება ჩვენს სინამდვილეში და მესამეც: ბანკის საქმე განსაკუთრებით აქციონურ თანხაზედ კი არ უნდა იყვეს შემდგარი, არამედ შეტანილ თანხებზედ (вклады), უკანასკნელს კი მრავალ მხრივ შეუშლის ხელსა სააქციონერო თანხის გადიდება.

როგორც ვიცით, თავდაზნაურობის მომავალ კრებაზედ სხვა მორიგ საკითხთა შორის იქნება სა-

კითხი კახეთის რკინის გზისა. სასურველია, თავდა-  
 აზნაურობა და ქართველი საზოგადოება გულისყუ-  
 რით და მხნედ შეუდგეს იმ გეგმის მოთქრება-შე-  
 მუშავებას, რომლითაც ახლო მომავალში, მთელი  
 გზის მეურნეობის ჩვენ ხელში გადმოსვლა უნდა  
 მოხდეს უმთავრესად საფიქრებელია მაღალ და და-  
 ბალ ხელმძღვანელთა და მუშაკთა შერჩევა.

„სარეორგანიზაციო კომისიამ“, რომელიც იყო  
 ამარჩეული „კახეთის“ საზოგადოების მორიგ კრე-  
 ბაზედ თებერვალში, უკვე დაასრულა მუშაობა და  
 ვრცელ მოხსენებას წარუდგენს მომავალ საგანგებო  
 კრებას—საზოგადოების მდგომარეობასა და გაუმჯო-  
 ბესებაზედ.

კოოპერატიულ საზოგადოება „მეურნის“ წი-  
 ნასწარ თათბირებმა გამოარკვეეს, რომ ამ კვირია  
 შესაძლებელია და საჭიროც იქნება დამფუძნებელ  
 კრების მოწვევა, რომ ახლო მომავალში შეუდგეს  
 კიდევ მოქმედებას. განზრახულია, პირველ ხანს გა-  
 იხსნას ერთი განყოფილება საბაკალეიო, და თანდა  
 თან მისი გაფართოება სხვა და ხხვა საჭირო ნა-  
 წილებით.

რედაქციას მოუვიდა მშვენივრად გამოცემუ-  
 ლი კრებული გრიშაშვილის ლექსებისა. გამოცემა  
 გარეგნულად ლამაზია, მშვენიერ ქალღმერთსა და-  
 დაბეჭდილი, დართული აქვს ავტორის სურათი და  
 ფაქსიმილე და შეიცავს 226 გვერდს. ფასი წიგნისა  
 ერთი მანეთია.

### შ რ ე ს ა

...„გერაფერი დემოკრატობაა. ტყუილად ჰგო-  
 ნია „ჰორიზონს“ რომ შესაძლებელია არადემოკ-  
 რატიული მოქმედება და მისი დემოკრატიული  
 ფრაზეოლოგიით გადაფუჭება. ვისაც სოლიდარო-  
 ბა ჰსურს, იმან საქმით უნდა დაამტკიცოს ეს  
 სოლიდარობა და არა სიტყვების რახა რუხით“—ო.  
 სწერს „სახალხო გაზ.“ სომხურ გაზ. „ჰორი-  
 ზონის“ პოზიციის შესახებ, სიღნაღის საქალაქო არ-  
 ჩევების საქმეში. აკი საქმით დაგიმტკიცეს, ბატო-  
 ნებო, რომ შესაძლებელია მტკიცე სოლიდარობა,  
 რაც თქვენ აგრე გწამდათ და გწამთ! ნუ თუ ახ-  
 ლაც არ იკბენთ თითზე და არ გამოტყდებით,

რომ ეს წყალწასაღები „სოლიდარობა“ მხოლოდ  
 სიტყვის მასალაა და ბელურების საკენკრ „ჰორი-  
 ზონი“ ხომ სომხის დემოკრატიის ხმაა და გიკვირთ  
 განა, რომ იგი სხვა რიგ ამღერდა, გვიღრჭ თქვენ  
 მოელოდით! ჩვენთვის კი საკვირველი მხოლოდ  
 ისაა, რატომ იტყუილებთ თავსა!

ჩვენ გვახსოვს, ერთხელ „სახალხო გაზეთი“  
 უსაყვედურებდა სომხურ პრესას და ნამეტნავად  
 დაშნაკელებს: 1905—6 წლებში, თქვენ უფრო  
 დემოკრატიულად იქცეოდით, და დღეს მარჯვენა  
 გაიწიეთო; ჩვენ გვახსოვს სახელმწიფო-სათათბირო-  
 ში არჩევნების დროს, რა შოვინისტურ აზრებს  
 ბეჭდავდა „სახალხო გაზეთი“ სომხების წინააღმდეგ  
 (რომლებსაც ჩვენ ვერ თანაუგრძობდით), ჩვენ  
 გვახსოვს პოლიტენიკუმის გარშემო ამტყდარი ამ-  
 ბავი, მაგრამ „სახალხო გაზეთს“ ყველაფერი ეს  
 ავიწყდება და დღეს უკვირს, რომ სომხები ნაციო-  
 ნალისტურ პოლიტიკას აწარმოებენ, უკვირს რომ  
 ამ პოლიტიკაში „ჰორიზონი“ უმაღლეს სოციალის-  
 ტურ სამართლიანობის თვალსაზრისით არ უყუ-  
 რებს სიღნაღის არჩევნების საკითხს.

მაგრამ იმათთვის, ვისაც „დიდი პოლიტიკის“  
 მებაირალტრედ მოაქვს თავი და ჩვენსავით წკრიმა-  
 ლებზედ, კერძო საკითხებზედ არა ხურდავდება—  
 საკვირველი აქ არაფერი უნდა იყვეს, რადგან  
 სრულის სიშიშვლით დღეს ყოველი სომეხი, ბურ-  
 ჟუა, კლერიკალი, დემოკრატი და სოციალისტიც (?)  
 ეროვნულ საკითხებში უმაღლეს ეროვნულ  
 იდეას ემსახურება—**ნებსით თუ უნებლიეთ** და მარ-  
 ტო ბრმანი და ვერა ხედავენ ამას.

სომხური ქაობი აიძვრა და მისი ძირიდან  
 მყრალი სუნი ზედაპირზედ ამოვიდა და გავრცელ-  
 და. ჯერ სიღნაღელ მოვახშეთა უხეში ძალმომრე-  
 ობა, 375 ცენზოსანის გამარჯვება 580-ს წინააღ-  
 მდეგ, თაღლითური ხრიკების საშუალებით, არ დაწ-  
 მენდილიყო ატმოსფეროში, რომ „ჰორიზონმა“ გა-  
 ამართლა ასეთი საქციელი. გაამართლა და პირ-  
 იკით ქართველობას უკიჟინა შოვინისტობა. შოვი-  
 ნისტობა ქართველებისაა, რომ რიცხვით ნაკლებმა  
 სომხობამ გაიმარჯვა და რისთვის?—რომ უფიცი და  
 გაუთლელი ვაქრები ემჯობინებინათ ინტელიგენცი-  
 ისა და უკეთ მომზადებულ ხალხზედ. „ჰორიზონი“  
 ამას ამართლებს? რა მოსაზრებით? ამისათვის „ჰო-  
 რიზონს“ საბუთი არ მოჰყავს. მაგრამ „დემოკრა-  
 ტიულ“ ჰორიზონს გვერდში ამოუდგა წმინდა  
 წყლის შოვინისტური „მშაკი“ და სულ ბაჯაღლო

ოქროსავეთ ლამაზ „ინტერნაციონალურ“ სიტყვებ-  
სა ბრძანებს:

„ქართველი შოვინისტები არა სცხრებიან.  
ისინი ეძებენ შიშეს, რათა გააღაზიანონ შოვი-  
ნიზმით გაუღენთილი თავისი ბუნება...“

ჩვენ კი ეოველთავის ვცდილობდით, რათა ჩვენს  
კუთხეში მცხოვრებთა შორის დაგვეთესა მშვიდობა  
და სიყვარული, ეოველივე სსშუალებას ვხმარობდით  
იმ მიზნისათვის, რომ სომხეთს და ქართველთა  
შორის დაგვეშუარებინა მჭიდრო და ხათესაური  
კავშირი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქართველი  
შოვინისტები არ აფასებენ ჩვენ ამგვარ კეთილ  
კრძნობებს...“

მშვიდობისა და სიყვარულის ქადაგება! თით-  
ქო იშხანიანცის წიგნიდან ამოუწერია „მშაკსა“.

იმას კი აღარ ამბობს, თუ იშხანიანცი როგორ  
ასურათებს ამ მშვიდობიანობის ქადაგებას: გამარ-  
ჯვებულ სომხობას, სიძლიერეში ეშინიან ყველა  
აურ-ხაურისა და მშვიდობიანობას ქადაგებს ეს  
ბუნებრივიაო. რასაკვირველია, ბუნებრივია: მოვდი-  
ვარ, გქამ და, თუ ღმერთი გწამს, მშვიდობიანად  
იჯექ, ყელზე ძვლად არ დამადგეო.

ჩვენ, სომხები არა ვცდილობთ იმ ხიდის ჩატე-  
ხას, რომელიც გადაებულია ჩვენსა და ქართველებს  
შუა, მაგრამ, თუ შემთხვევით იგი ჩატედა, მისი  
მწარე შედეგები უფრო საკრძნობელი იქნება ქარ-  
თველებისათვის ვინემ სომხებისათვის. ვიმეორებთ,  
დახებთ თავი უსაფუძვლო მუქარას და უშინარსო  
ლაყობას, დამოკლეთ ენა...“

ესეც მშვიდობიანობის ქადაგებაა? ესეც ძმობა  
და სიყვარულია სომხური.

აქ „მშაკმა“ სრულიად დაივიწყა ზრდილობაც,  
თავდაჭერილობაც, და კეთილგონიერი პატრიოტი-  
ზაც. აქ უბრალო წათამამებული შოვინისტური  
ყინი გამოსჭვივის და ცუდ წინამძღოლობას უწევს  
სომხის უწყინარს ხალხს—ეს, სოლოლაკელ პლუ-  
ტოკრატიის თავხედი.

# ნ ა რ ე კ ი

„სახალხო“ და „სახოფლო“ გაზეთის ბაასი  
„კრიპუჭხედ“

„სახალხო გაზეთს“ გაუგია, რომ გურიაში ფუტ-  
კარი აკეთებს ერთგვარ „მაგარ თავფეს“—კრიპუჭს.  
ასა რა კასაკვირველია, „სახალხო“ არ იცოდეს თუ

როგორ კეთდება უბრალო თავფიც, იგი ხომ „სამკურ-  
ნეო“ არ არის, რომ იცოდეს, იგი — ჰოლოციკურია და  
სწეს:

„კრიპუჭის მკეთებელ ფუტკარსა და უბრალო ფუტ-  
კარს განსხვავება უნდა იქნებოდეს არ-  
განთებში, მაგრამ სამწუხაროდ თ-დ ნაკადიქს ამ-  
ჟამად ვერ მოუხერხებია იმ დედა ფუტკ-  
რის დაჭერა და გამოგზავნა,  
რომელიც ამ თავფეს ამ ფა-  
დებდა. მასშინ უეჭვოდ აღ-  
მომკვდევს განადგობა“.

ამას, რასაკვირველია, წინააღმდეგ „სახოფლო გა-  
ზეთი“, რომელიც ს ამ ე უ რ ნ ე ა რის და  
იცის, რომ დედა ფუტკარი მარტო კვერცხებსა სდებს  
და თავფეს არ ამზადებს. ისიც იცის, რომ სხვა და  
სხვანაირ თავფის გასაკეთებლად არ განთ-  
ბის განსხვავება არ არის საჭირო; მაგრამ ერთის  
თქმას ივიწეებს: როგორ უნდა გამოიკვლიოს „სახალხო  
გაზეთმა“ დედა ფუტკრის ორგანოებით კრიპუჭის დამ-  
ზადების მიზეზი?

„სახალხო გაზეთს“ რომ უნდოდეს ვსთქვათ გა-  
მაკვლევა, როგორ მზადდება ჩექმები ან ჩუსტები, მუ-  
ჩეჭმის და მერუსტის ორგანოების განსხვავებას გამოიკ-  
ვლევეს, რასაკვირველია. ან თუ დასჭირდება განსხვავების  
გაკება ინდაურის და ქათმის კვერცხისა, მამლის დე-  
ზებს გამოიკვლევეს, რადგან მამალი კვერცხს არას დროს  
არა სდებს.

## გ ა ზ . „აზრის“ აზრები:

გელეიშვილის ბოლოკები ესროდეს საბრიყვისათვის,  
მაგრამ გელეიშვილი ს.-დემოკრატიც არის, „ამგვარ-  
ად საერთოდ დემოკრატია და განსაკუთრებით სო-  
ციალ-დემოკრატია გამოწვეულია ისტორიულ დეულში,  
ჩვენც მზათა ვართ“.

დაიწეო პრიტესტების დეული, ვაი ჩვენი ბრადი-  
ცა.

გუშინ ერთ ინდაურს მარცხენა ფეხი მოსტეკეს,  
„ამგვარად საერთოდ დემოკრატია და განსაკუთრებით  
სოციალ-დემოკრატია ისტორიულ დეულშია დაჭრი-  
ლი“...?!!

რატომ, როგორ?!

— მას რა არის, ყველა დემოკრატს ხომ მარცხენა  
ფეხი აბია.

— კარგი, და განსაკუთრებით  
სოციალ-დემოკრატია რადამა?

— იმიტომ რომ ისეთი შემარცხენე არავინ არის,  
როგორც ინტერნაციონალური პროლეტარიატი.....??

ასე ერთბაშე თავს, ჩვენნი მეტნიერული სოცია-  
ლიზმით და სოციალისტური მეტნიერებით დატვირთული  
პარტიები.

### ჯილდოც ასეთი უნდა.

ბაქოს რეალური სასწავლებლის მონაწილე — უმაწვილი, დაქნასლია ამხანაგებს, რომ ავიატორ ჰეკუსზე უფრო დიდ ვაჟკაცობას გამოვიჩინო (მფრინავი ჰეკუ ცნობილია, როგორც ერთ-ერთი პირი, რომელიც საშინელ ფოკუსებს აკეთებს ფრენის დროს) ამხანაგებს წაუქეზებიათ უმაწვილი. ისიც შესდგომია თავის განზრახვის სასრულეში მოყვანას. ის ბაქოს უმაღლეს ეკლესიის კედელზე ფართვით ასულა გუმბათზე და გუმბათიდან თვით უმაღლესი ჯვარამდე და იქვე შემოუხვევია „შარფი“. თავზარდაცემული ახალგაზრდები და ბლამად შეკრებალა ხალხი გამტკრებით შექეურებდნენ ამ სურათს და უოგუდს წაშს მოედინებენ საშინელ უბედურობას. ახალგაზრდა გმირი, როგორც გულგრილად ავიდა, ისე გულგრილად ჩამოვიდა მიწაზე და შეკრაა ხალხში, მსწრაფელ გადამდებმა ფიტოგრაფმა გადაიღო ეს საინტერესო წუთი, როდესაც უმაწვილი მადლა-მადლა ცაში ჯვარს მოხვეოდა.

ის... სასწავლებლიდგან... გამორიცხეს.  
(ბათუმის გაზეთი).

## ქვა და კონდახი

საქართველოს ორი უდიდესი პატრიოტი ჰყავდა:

დიმიტრი ყიფიანი და ილია ჭავჭავაძე. ერთს თავი სასწორის ქვით გაუტეხეს მეორეს — ჯერ ტყვიით და მერმე კონდახით.

ორი უდიდესი ქართველი პატრიოტი, ერთს ქვა, მეორეს კონდახი და ორივეს ერთად საშინელი მაწამებელი სიკვდილი!

იქ, მალა, მამა-დავითის მთაზედ, გვერდით ასვენია საქართველოს გვამები ამ ორ ღვიძლი შვილისა.

მათ საფლავზედ წაიკითხავთ:

ჩვენ შემოგწირეთ სიცოცხლე შენ, ძვირფასო სამშობლო,

ჩვენ ვიწამენით შენთვის საშინელი წამებით, მამულო საყვარელო, შენ როსლა აყვავდები?

მალე, მალე... დღეს-ხვალ... უპასუხებს ამ ორ ტანჯულ ადამიანს დღევანდელი საქართველოც.

არა გჯერათ? მაშ გადახედეთ, აგე, იმ შორეულ გზას, რომელიც თქვენ საფლავისკენ აღე-მართება... ვეუბნებოდით მათ ჩემს ფიქრში, როდესაც მამა-დავითის მთიდან ქვევით ვიყურებოდით

ქიანქველასავით ირეოდა და მომდინარეობდა ქართველობა თავის ძვირფას და რაინდ მამათა საფლავების მოსაგონად და სათაყვანებლად

მოდოდა თავადი და გლეხი,

მოდოდა მღვდელი და ბერძენი

მოდოდა ქალი და ბავშვი

მოდოდა ერთის წრფელი გრძნობით:

მუხლმოდრეკილი თაყვანი ეცა ორ დიდ ქართველ მამულიშვილის ქალარა წამებულ თავისათვის და დაემტკიცებინა, რომ მათი დაწყებული საქმე არ მომკვდარა, მათი ღვაწლი არ გამქრალა.

ქვამ და კონდახმა ორი საუკეთესო ქართველთა თავი სასიკვდილოდ გასტეხა.

ქვამ და კონდახმა მრავალი ქართველის თავი შეარხია და გასტეხა მისი შეუფერებლობა და გულცივობა ეროვნულ საქმისადმი.

ორი კაცის მაწამებრივმა სიკვდილმა — ორ მილიონ ქართველი ხალხის სიკვდილი დათრგუნა.

ასეთი საშინელია ბრძოლა ერისა თავის არსებობისათვის...

ასეთია ირონია ბუნებისა:

საცა სიცოცხლეა — იქ საჭიროა სიკვდილიც,

უსიკვდილოდ — არც სიცოცხლეა შესაძლო.

ქვა და კონდახი...

სიკვდილი და სიცოცხლე.

ეკალი.

## ჩვენი ფოსტა

**ბინდიაშვილს:** ლექსი გასწორეთ, და ისე დამიბეჭდეთ, თანდათ „ფოსტაში“ ნუ გამაჩნდავთ, გვთხოვთ.

თხზულის მეორე ნახევარმა, პირველიც თან წაიღო, რადგან გაუსწორებელი კვინდოდა დაბეჭდვა.

**კოლიკოს:** „დრამატიული ნიჭი მაქვს, მაგრამ გარემოება ხელს არ მიწყობს და ამიტომ ლექსებს გიგზავნი“.

ჩვენ დრამატიული ნიჭი არა გვაქვს, მაგრამ გარემოებამ ხელი შეგვიწყო თქვენი ლექსები კალათას გაგვეგზავნა.

**მ — ს ნ — ს:** „ორსტრიალით მიგვარდი, მოვსტარე ვარდსა იანი ზეცას შევსტეორცხე ისარი მოცინარე და მზიანი“.  
— შერე ჩვენ რა?

**განიავებულს:** „მარცვლები ხტოდნენ და პზე კი ფრიალობდა, რაკი ქარი იდგა“...

მთხრობის ფურცლები გაფრიალდნენ, რაკი ქარი არ იდგა.

# ბ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა

## ქართული საწერ- რი მანქანა

თანამედროვე კულტურის განვითარებაში დიდი ადგილი უჭირავს ორთქლის და ელექტრონის შემოღებას. თითქმის ასეთივე მნიშვნელობა აქვს მთელი კაცობრიობისათვის საწერი მანქანის გამოგონებას. დღეს ყველა კულტურულ ერს მოეპოვება თავის ენაზე საწერი მანქანა, მხოლოდ ჩვენ ქართველები შევადგენდით აქამდის გამოჩინების.

1909 წელს ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ პირველად გადადგა ნაბიჯი ამ საქმის განსახორციელებლად და დაიკვეთა ათი ცალი ქართული საწერი მანქანა, მაგრამ ასოები ძლიერ ცუდათ იყო ამოჭრილი და ამას გარდა ძვირიც დაჯდა, სახელდობრ 275 300 მანეთი თითო. ამ გარემოებამ ძლიერ შეუშალა ხელი მანქანის გავრცელებას.

რომ ეს ნაკლი შეესებულებოდა და ჩვენი ქვეყანაც საერთო კულტურის ფერხულში ჩარეოდა, ჩვენმა ფირმამ უკვე ძარშან კავშირი დაიჭირა საწერი მანქანების საუკეთესო ქარხანასთან და დაუკვეთა ქართული საწერი მანქანა.

აქვე ჩვენი საზოგადოების ყურადღება უნდა მივაქციოთ შემდეგ გარემოებას: საწერი მანქანის ასოები იმავე ფორმის არ არიან, როგორც საბეჭდავი ასოები, ვინაიდან საბეჭდავი ასოები სხვა და სხვა ზომისანი არიან და საწერ მანქანაზე კი საჭიროა, რომ ყველა ასოები ერთი ზომისანი იყვნენ. ამის გამო მიუჩვეველი თვალისათვის პირველად შეიძლება არაჩვეულებრივი იყოს, მაგრამ თან და თან მიეჩვევიან.

ამავე მანქანაზე მოთავსებულია რუსული ასოებიც, ასე რომ რუსულადაც შეიძლება წერა. ამ გარემოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ დაწესებულებათათვის, სადაც რუსულ ენაზე მიწერ-მოწერა, ნებით თუ უნებლიეთ სავალდებულო არის.

რასაკვირველია, ყოველივე ახალი მანქანის გაუმჯობესება შეიძლება და თუ ჩვენი საზოგადოება ამ საქმეს თანაგრძნობით შეხვდა, მისი თან და თან გაუმჯობესება ადვილი საქმეა.

ორივე ენაზე ერთად მანქანას ჩავაბარებთ

ჩვენში ყველა ადგილებში ას ოთხმოც მანეთად (180 მ.). თითო გამოწერილ მანქანასთან გამოვყოლებთ ქართულ ენაზე დაწერილ სახმარ დარიგებას.

ამ მანქანის გასავრცელებლად ჩვენში, ფირმის წარმომადგენელად არის ჟურნალ-გაზეთების სააგენტო „იმერეთი“-ს გამგე ბატონი ისიდორე კვიციანიძე, რომლის კანტორაშიაც ქუთაისში მსურველთ შეუძლიანთ ნახონ ჩვენი სანიშნუშო მანქანა.

დაკვეთა შეიძლება პირდაპირ ჩვენგან შემდეგი მისამართით:

D. GHAMBASHIDZE et C<sup>o</sup>.  
61. Mark Lane.  
London. E. O.

ან ჩვენი ფირმის წარმომადგენელთან შემდეგი მისამართით: ჟურნალ-გაზეთების სააგენტო „იმერეთი“ ბატონ ისიდორე კვიციანიძე. ქუთაისი.

დაკვეთისთანავე, მყიდველმა უნდა გადაიხადოს ორმოცი მანეთი (40 მ.), რომელიც უნდა გადაიგზავნოს ბათუმის საურთიერთო ნდობის ბანკში ქ. ბათუმში, დანარჩენი ას ორმოცი მანეთი (140 მ.) კი გადახდებთ ჩაბარებისას.

ამასთანავე, გიგზავნით ქართულ-რუსული საწერის ნიმუშს და იმედი გვაქვს ჯეროვანის თანაგრძნობით შეხვდებით ჩვენს წინადადებას.

პატივისცემით დავით ლამბაშიძე და ამხ.

ლონდონი 5 მაისი 1914 წ.

რედაქცია, ამასთანავე ამოწმებს, რომ გამოგზავნილი ნიმუში ლამაზი შრიფტით არის ნაბეჭდი და მშვენიერ შთაბეჭდილებას ახდენს.

რედ.

რედაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.

საქართველოს საზოგადოებრივი და სალიტერატურო გაზეთი

# „იმერეთი“



ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისათვის. გაზეთის ფასი: ერთი წლით—7 მან. ნახევარი წლით 4 მან. ერთი თვით - 80 კ. ცალკე ნომერი ერთი შაური.

ადრე: კუთაისი, რედაქცია გაზეთი „იმერეთი“.

საზოგადოებრივი სახელმძღვანელო-საღიგობარო, სასაზოგადოებრივი მინისტრის სერაფიმოვი

## „თეატრი და ცხოვრება“

ჟურნალს საგანგებო თანამშრომელ-კორესპოდენტები ჰყავს რუსეთსა და საზღვარ-გარედ. ჟურნალში ითანამშრომლებენ ცნობილი მწიგნობარნი, მუსიკოსნი, დრამატურგნი, მგოსანნი, და მხატვარ-ხელოვანნი. ჟურნალის ფასი: წლიურად 5 მ. (ამ წლის დამლევამდე—4 მ.) ნახევარი წლით 3 მან. ცალკე ნომერი ორი შაური. ფულის გადახდა საწილ-ნაწილადაც შეიძლება. ხელის მოწერა მიიღება ქართ. დრამატ. საზოგ. კანტორაში და იოსებ იმედაშვილთან („სორაბნის“ სტამბაში).

1894 წლიდან 1914 წლამდის

საუკეთესო დგინოდ ითვლება დგინოდ

### საზოგადოება „კახეთი“-სა

ტელეფონი: № 73 და 3-51.

თბილისი: გოგოლის ქუჩა 63 და ერევნის მოედანი.

განყოფილებანი: ბაქოში, ასხაბადში, ტაშკენტში, მოსკოვში, ბათუმში, რასტოვში და სხ.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა ს. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქუჩა 5

